ასლი

სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
30.09.2011 № 111.
თბილისი

2011/2012 სასწავლო წლის
პირველი სემესტრის სასწავლო
განრიგის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" (2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებით გათვალისწინებული ცვლილებებით) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის საფუძველზე უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე 2011/2012 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2011/2012 სასწავლო წლის პირველი სემესტრი უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის (პროფესიული უმაღლესი განათლება, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის დაიწყოს 2011 წლის 3 ოქტომბერს (იხ. დანართი 1);
2. სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) ჩატარდეს 2011 წლის 3 ოქტომბრიდან 2012 წლის 21 იანვრის ჩათვლით;
3. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად;
4. სწავლების ყველა წლის და საფეხურის სტუდენტებისათვის პირველი შუალედური ტესტირება ჩატარდეს მე-6 სასწავლო კვირაში, 2011 წლის 31 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით, ხოლო მე-2 შუალედური ტესტირება – მე-12 სასწავლო კვირაში, 2011 წლის 12 დეკემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით; შუალედური ტესტირებები ჩატარდეს სააუდიტორო მეცადინეობებისაგან თავისუფალ დროს (იხ. დანართი 1);
5. სწავლების ყველა წლის და საფეხურის სტუდენტებისათვის, გარდა იმ დოქტორანტებისა, რომლებსაც დისერტაციის (კვლევითი კომპონენტის) დასრულებისა და დაცვის მიზნით აღებული აქვთ დამატებითი სემესტრი, დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2012 წლის 23 იანვრიდან 7 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 8 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით (იხ. დანართი 1);
6. ა) დოქტორანტებისათვის პირველი და მეორე თემატური სემინარი ჩატარდეს, შესაბამისად, სწავლების მეორე წლის პირველ სემესტრში და სწავლების მესამე წლის პირველ სემესტრში;

   ბ) დოქტორანტებისათვის, რომლებსაც დისერტაციის (კვლევითი კომპონენტის) დასრულებისა და დაცვის მიზნით აღებული აქვთ დამატებითი სემესტრი, დისერტაციის დასრულების (კვლევითი კომპონენტის) შესაფასებელი დასკვნითი გამოცდები (დისერტაციის წინასწარი განხილვა) ჩატარდეს 2012 წლის 10 იანვრიდან 21 იანვრის

ჩათვლით;

7. სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომების/სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომების დაცვა ჩატარდეს შესაბამისი წესების თანახმად;
8. საშობაო არდადეგები დაიწყოს 2012 წლის 2 იანვარს და დამთავრდეს 8 იანვარს (იხ. დანართი 1);
9. ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2012 წლის 8 თებერვალს;
10. სასწავლო კურსის (მათ შორის დოქტორანტის სპეცკურსის) წამყვანი პროფესორი/მაგისტრანტის ხელმძღვანელი ვალდებულია პროფესიული უმაღლესი განათლების, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასების, აგრეთვე შუალედური ტესტირების შედეგები მომდევნო ორშაბათის 12 საათამდე, ხოლო დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის (იხ. დანართი 2) შედეგები გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის შემდეგი სამუშაო დღის 12 საათამდე შეიტანოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 4, 5);
11. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია დოქტორანტის შუალედური ტესტირების შედეგები კვლევით კომპონენტში, აგრეთვე კომპონენტში – საინფორმაციო წყაროების მიმოხილვა, აქტუალურობის დასაბუთება, მიზნის და ამოცანების ჩამოყალიბება – მომდევნო ორშაბათის 12 საათამდე, ხოლო დასკვნითი და დამატებითი გამოცდის (იხ. დანართი 2) შედეგები გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის შემდეგი სამუშაო დღის 12 საათამდე შეიტანოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 5);
12. სემესტრის ბოლოს, არაუგვიანეს 2012 წლის 18 თებერვლისა, სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი, მაგისტრანტის ხელმძღვანელი/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი მოახდენს უწყისის რეგისტრაციას; უწყისის ერთ ეგზემპლარს ჩააკერებს შესაბამის საქაღალდეში, ხოლო მეორე ეგზემპლარს გადასცემს დეკანატს არსებული წესის მიხედვით;
13. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);
14. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
## 2011/2012 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო გრაფიკი

| სწავლების საფეხური | 3–8 ოქტომბერი | 10–15 ოქტომბერი | 17–22 ოქტომბერი | 24-29 ოქტომბერი | 31 ოქტომბერი– 5 ნოემბერი | 7–12 ნოემბერი | 14–19 ნოემბერი | 21–26 ნოემბერი | 28 ნოემბერი– 3 დეკემბერი | 5–10 დეკემბერი | 12–17 დეკემბერი | 19–24 დეკემბერი | 26–31 დეკემბერი | 2–7 იანვარი | 9–14 იანვარი | 16–21 იანვარი | 23–28 იანვარი | 30 იანვარი – 4 თებერვალი | 6–7 თებერვალი | 8–11 თებერვალი | 13–18 თებერვალი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კვირა | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | XIII | | XIV | XV | XVI | XVII | XVIII | | XIX |
| პროფ. უმაღლესი (II)<br>პროფ. უმაღლესი (III)<br>ბაკალავრიატი (I)<br>ბაკალავრიატი (II)<br>ბაკალავრიატი (III)<br>ბაკალავრიატი (IV)<br>მაგისტრატურა (I)<br>მაგისტრატურა (II)<br>დოქტორანტურა (I-I)<br>დოქტორანტურა (II-I)<br>დოქტორანტურა (II-II)<br>დოქტორანტურა (III-I) | სასწავლო პროცესი | | | | | სასწავლო პროცესი, I შუალედური ტესტირება | სასწავლო პროცესი | | | | | სასწავლო პროცესი, II შუალედური ტესტირება | სასწავლო პროცესი | საშობაო არდადეგები | სასწავლო პროცესი | | სესიები (დასკვნითი გამოცდები) | | | დამატებითი გამოცდები, ზამთრის არდადეგები | |

შენიშვნა: პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სილაბუსის შესაბამისად.

აღნიშვნები:

I – სწავლების პირველი წელი, II – სწავლების მეორე წელი და ა.შ.;

I-I – სწავლების პირველი წლის პირველი სემესტრი, II-I – სწავლების მეორე წლის პირველი სემესტრი (I სემინარი), II-II – სწავლების მეორე წლის მეორე სემესტრი, (III-I) – სწავლების მესამე წლის პირველი სემესტრი (II სემინარი).

*დანართი 2*

სტუდენტთა მიღწევების შეფასება

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლების ყველა წლის და საფეხურის სტუდენტებისათვის, გარდა დოქტორანტებისთვის კვლევითი კომპონენტისა და საინფორმაციო წყაროების მიმოხილვის შეფასებისა, შუალედური შეფასება მოიცავს ორ შუალედურ ტესტირებას და 15 ყოველკვირეულ შეფასებას*:
   - ყოველკვირეული ჯამური (სემესტრული) მაქსიმალური შეფასება არის 30 ქულა (2 ქულა X15 კვირა);
   - I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
   - II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;

   ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისათვის სემესტრის განმავლობაში ჩატარდება სამი შუალედური ტესტირება:
   - I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
   - II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
   - III ტესტირება – მაქსიმალური შეფასება შეადგენს 30 ქულასა და სტუდენტის მიერ ყოველკვირეულ შეფასებებში დაგროვებულ ქულებს შორის სხვაობას;

   დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა;

   დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებების – ყოველკვირეული შეფასებების და შუალედური ტესტირებების – ჯამში დააგროვა 21 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/ პრაქტიკული/საკურსო და ა.შ.);

   დასახელებული მინიმუმის შესრულების და შესაბამისი დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღსანიშნავად სააუდიტორიო მეცადინეობების ბოლო კვირის შეფასებების ფანჯრის გახსნასთან ერთად გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა (შემდგომში – დოკუმენტური მასალის ფანჯარა) სათანადო მონიშვნის გაკეთების მიზნით;

   დოკუმენტური მასალის ფანჯარა დაიხურება დასკვნითი გამოცდის ფანჯრის დახურვასთან ერთად;

2. დოქტორანტურის სტუდენტებისათვის კვლევით კომპონენტში და საინფორმაციო წყაროების მიმოხილვაში შუალედური შეფასებები მოიცავს ორ შუალედურ ტესტირებას:
   - I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;
   - II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;

   დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 40 ქულას;

   დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც შუალედური შეფასებების/ტესტირებების ჯამში დააგროვა 21 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი;

3. დოქტორანტების სემინარის/დისერტაციის დაცვის შეფასება ხდება ერთჯერადად. სემინარის შეფასებისათვის გამოიყენება 100-ქულიანი სისტემა, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის – შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

3. საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით სტუდენტი არ არის ვალდებული გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, თუ მან შუალედური შეფასებების ჯამში დააგროვა 51 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი;
4. შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში 41-50 ქულის დაგროვებისას (FX შეფასება – ვერ ჩააბარა), სტუდენტს ეძლევა იმავე სასესიო პერიოდში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
5. დეკანის ბრძანებით, დასკვნითი გამოცდის აღდგენის (დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის) უფლება იმავე სასესიო პერიოდში ეძლევა სტუდენტს, რომელსაც აღნიშნული გამოცდის ჩატარების დღეს ჰქონდა დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო გაცდენა; დასკვნით და დამატებით გამოცდებზე დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სტუდენტს, სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით და რექტორის თანხმობით, მიეცემა გამოცდებზე გასვლის უფლება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე;
6. ინდივიდუალურ პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისათვის სამივე ტესტირება და დასკვნითი/დამატებითი გამოცდები ჩატარდება წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებისათვის შეფასების ელექტრონულ უწყისში პირველი ტესტირების უჯრა გაიხსნება მე-5 კვირაში, მეორე ტესტირების უჯრა – პირველი ტესტირების უჯრაში შეფასების შეტანიდან 24 საათში, მაგრამ არა უადრეს მე-10 კვირისა, მესამე ტესტირების უჯრა გაიხსნება მეორე ტესტირების უჯრაში შეფასების შეტანიდან 24 საათში, მაგრამ არა უადრეს მე-15 კვირისა. დასკვნითი გამოცდის უჯრა გაიხსნება სტუდენტის მიერ დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად აუცილებელი ქულების დაგროვებიდან 24 საათში, მაგრამ არა უგვიანეს დასკვნითი გამოცდების ბოლო დღისა;
7. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა; დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შედეგები არ ჯამდება;
8. შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამში 41-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (F შეფასება – ჩაიჭრა), აგრეთვე შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის შედეგად 51-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (შეფასებები FX ან F), სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;
9. პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს

ემთხვევა (მაგალითად, პროფესიული უმაღლესი განათლების მე-5 სემესტრის პრაქტიკა), ისევე შეფასდება, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო კურსი ან მისი კომპონენტი (სილაბუსით განსაზღვრული ფორმატის შესაბამისად). პრაქტიკის შეფასებისათვის შეიძლება განსაზღვრული იყოს მინიმალური გამსვლელი ქულების რაოდენობა. პრაქტიკის ქულების შეტანამდე ან/და შესაბამისი დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღნიშვნამდე, საბოლოო შეფასების უჯრა დაბლოკილი იქნება სტუდენტის მიერ სხვა კომპონენტებში დაგროვებული ქულების რაოდენობის მიუხედავად. ასეთი სტუდენტების დასკვნით/ დამატებით გამოცდებზე გასვლის კრიტერიუმები სხვა სტუდენტების ანალოგიურია;

10. პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს არ ემთხვევა, შეფასდება სილაბუსში აღწერილი და სწავლების დეპარტამენტში შეთანხმებული წესით, "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.
11. სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) პუნქტი "შეფასების სისტემა" შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი წინამდებარე დანართთან.
12. მეცადინეობაზე/მეცადინეობებზე გამოუცხადებლობისას შესაბამის უჯრაში იწერება 0 (ნული), ტესტირებებსა და გამოცდებზე გამოუცხადებლობისას კი დეფისი;
    სტუდენტის მიერ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამში არანაკლებ 51 ქულის დაგროვებისას (სათანადო დოკუმენტური მასალის ჩაბარების შემთხვევაში) საბოლოო შეფასება ავტომატურად იწერება შესაბამის უჯრაში, ხოლო დამატებითი გამოცდის უჯრა იბლოკება და მასში რაიმე მონაცემის შეტანა შეუძლებელი ხდება.
13. სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია უზრუნველყოს სათანადო სასწავლო მასალის მიწოდება და სტუდენტის მიერ ყოველკვირეული შეფასების მიღების შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც, თუ სასწავლო ცხრილის მიხედვით მეცადინეობის ჩატარება ემთხვევა უქმე დღეებს; აღნიშნულის რეალიზაციისათვის დასაშვებია დამატებითი მეცადინეობების ჩატარება, თემების გადანაწილება ან სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ნორმალურ მსვლელობას.
    სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია შეავსოს ელექტრონული უწყისის ყველა უჯრა.

* – ყოველკვირეულ შეფასებაში ერთიანდება სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახის მეცადინეობის (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორიული, საკურსო სამუშაო, საკურსო პროექტი და ა.შ.) შედეგები. თითოეულ სასწავლო კურსში მაქსიმალური ჯამური შეფასებაა 2 (ორი) ქულა; აქედან ყველა სახის მეცადინეობაზე დასწრებათა მაქსიმალური ჯამური შეფასება – 1 (ერთი) ქულა, აქტიურობისა და საშინაო დავალების შესრულების მაქსიმალური ჯამური შეფასება – 1 (ერთი) ქულა.

*დანართი 3*

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## ........................................................ ფაკულტეტის

## № . . . . აკადემიური ჯგუფის სტუდენტთა შეფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი: ☐ სემესტრი: ☐ აკადემიური წელი: ☐

სწავლების საფეხური: ☐ პროფესიული უმაღლესი განათლება ☐ ბაკალავრიატი ☐ მაგისტრატურა ☐ დოქტორანტურა

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი პროფესორი

ECTS კრედიტი: ☐

სწავლების ფორმა და კვირეული დატვირთვა, სთ : ლექცია: ☐ პრაქტიკული: ☐ ლაბორატორიული: ☐ სხვა: ☐

პრაქტიკა: ☐ სემინარი: ☐ საკურსო პროექტი\ სამუშაო: ☐ ☐

| № | გვარი, სახელი | კვირის № | | | | | | | | | | | | | | | | | | | | საბოლოო შეფასება, მაქსიმ./გამ-სვლელი ქულა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | | 13 | 14 | 15 | | 16, 17 | 18, 19 | | |
| | | შუალედური შეფასებები, ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | სულ შუალედური შეფასებები, ქულა | გამოცდა, ქულა | | | |
| | | ყოველკვირეული | | | | | | I ტესტირება | ყოველკვირეული | | | | | | II ტესტირება | | | | | დასკვნითი | დამატებითი | | |
| | | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 20 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 20 | 2 | 2 | 2 | 70 | 30 | 30 | 100/51 | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| *შენიშვნა* | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ________ ________ ________<br>*ინიც. და გვარი* *ხელმოწერა* *თარიღი* | ფაკულტეტის დეკანი |
| დეპარტამენტის უფროსი ________ ________ ________ ________<br>*ინიც. და გვარი* *ხელმოწერა* *რეგ.№* *თარიღი* | ________<br>*ინიც. და გვარი* *ხელმოწერა* |

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## ........................ ........................ ფაკულტეტის

## № .... აკადემიური ჯგუფის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე მყოფ სტუდენტთა შეფასების ელექტრონული უწყისი № ....

სწავლების წელი ☐ სემესტრი ☐ აკადემიური წელი ☐

სწავლების საფეხური: ❑ პროფესიული უმაღლესი განათლება ❑ ბაკალავრიატი ❑ მაგისტრატურა

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი პროფესორი

ECTS კრედიტი: ☐

სწავლების ფორმა და კვირეული დატვირთვა, სთ : ლექცია: ☐ პრაქტიკული: ☐ ლაბორატორიული: ☐ სხვა: ☐

პრაქტიკა: ☐ სემინარი: ☐ საკურსო პროექტი\ სამუშაო: ☐ ☐

| № | გვარი, სახელი | კვირის № | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | საბოლოო შეფასება, მაქსიმ./გამსვლელი ქულა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | | 13 | 14 | 15 | III ტესტირება | სულ შუალედური შეფასებები, ქულა | 16,17 | 18,19 | | |
| | | შუალედური შეფასებები, ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | გამოცდა, ქულა | | | |
| | | ყოველკვირეული | | | | | | I ტესტირება | ყოველკვირეული | | | | | | II ტესტირება | | | | | | ძირითადი | დამატებითი | | |
| | | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 20 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 20 | 2 | 2 | 2 | 30(30) | 70 | 30 | 30 | 100/51 | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| *შენიშვნა* | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ________ ________ ________<br>*ინიც. და გვარი* *ხელმოწერა* *თარიღი* | ფაკულტეტის დეკანი |
| დეპარტამენტის უფროსი ________ ________ ________ ________<br>*ინიც. და გვარი* *ხელმოწერა* *რეგ.№* *თარიღი* | *ინიც. და გვარი* *ხელმოწერა* |

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## ........................................... ფაკულტეტის

## № ....... აკადემიური ჯგუფის დოქტორანტის/დოქტორანტების შეფასების ელექტრონული უწყისი № ....

სწავლების წელი [ ] სემესტრი [ ] აკადემიური წელი [ ]

კომპონენტის დასახელება:

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ECTS კრედიტი [ ]

| № | გვარი, სახელი | კვირის № | | | | | საბოლოო შეფასება, მაქსიმ. / გამსვლელი ქულა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 12 | | 16,17 | 18,19 | | |
| | | შუალედური შეფასებები, ქულა | | სულ შუალედური შეფასებები, ქულა | გამოცდა, ქულა | | | |
| | | I ტესტირება | II ტესტირება | | დასკვნითი | დამატებითი | | |
| | | 30 | 30 | 60 | 40 | 40 | 100/51 | |
| 1 | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | |
| შენიშვნა | | | | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სამეცნიერო ხელმძღვანელი | ინიც. და გვარი | ხელმოწერა | თარიღი | | ფაკულტეტის დეკანი |
| დეპარტამენტის უფროსი | ინიც. და გვარი | ხელმოწერა | რეგ.№ | თარიღი | ინიც. და გვარი / ხელმოწერა |